

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს
ბ-ნ. ავთანდილ დელაღუტაშვილს,
ამავე უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს
და წარმომადგენლობით საბჭოს,
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის
შალვა ჭკადუას

წლიური ანგარიში

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სახელით, წარმოგიდგენთ სამსახურის წლიურ ანგარიშს.

2013 - 2014 სასწავლო წელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განახორციელა შემდეგი აქტივობები:

რექტორის მოადგილის, ქ-ნ. ირმა შიოშვილისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით, ცვლილებები შევიდა უნივერსიტეტის დებულებაში - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესისა და სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემის შესახებ (ცვლილებები განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი №17 23.04.2013 ; ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოზე: ოქმი № 12 24.04.2014.) ;

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის თანადგომით, საგამოცდო ცენტრმა შეძლო წარმატებით განეხორციელებინა საგამოცდო პროცესი, რისთვისაც მინდა მადლობა გადავუხადო უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ ავთანდილ დელაღუტაშვილს, რექტორის მოადგილეს, ქალბატონ ირმა შიოშვილს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბატონ პაატა გოცირიძეს და საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელს, ბატონ სოლომონ რამაზაშვილს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძალისხმევით, მიმდინარე წლის 4 ივნისს, ხელი მოეწერა მემორანდუმს, იუსტიციის სამინისტროსა და თესაუს შორის თანამშრომლობის შესახებ. აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე, ჩვენი სტუდენტები და კურსდამთავრებულები უკვე გადიან სტაჟირებას სხვადასხვა იუსტიციის სახლებში. პერსპექტივაში ეს სტუდენტები დასაქმდებიან სტაჟირების დასრულების შემდეგ. ეს პროცესი გაგრძელდება ყოველწლიურად.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის რექტორთან ერთად, ტემპუსის პროექტ - SuToMa -ს ფარგლებში, სამუშაო ვიზიტით ვიმყოფებოდი გერმანიაში, ქალაქ ვორმსში, სადაც წარმატებით დავასრულეთ შეხვედრები ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამებში ახალი მოდულების დანერგვის შესახებ და ტრენერთა გადამზადების შესახებ, რის საფუძველზეც ჩვენი პროფესორები უკვე გაემგზავრნენ გერმანიაში კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

ასევე მოგახსენებთ, რომ ფაკულტეტების ხარისხის სამსახურების უფროსებთან და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წარმატებით დაასრულა ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშების მომზადება და წარდგენა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, ფაკულტეტების დეკანატებთან ერთად წარმატებით დასრულა 2013-2014 წლის საგაზაფხულო სემესტრის შიდა და გარე მობილობა.

წარმატებებთან ერთად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ჰქონდა ხარვეზებიც. გაცნობებთ, რომ მიმდინარე წელს უნივერსიტეტმა აკრედიტაციისათვის წარადგინა 4 პროფესიული და 1 მასწავლებლის მომზადების პროგრამა. აქედან მხოლოდ ერთმა, მასწავლებლის მომზადების პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია. პროგრამების ჩავარდნის მიზეზი გახდა უნივერსიტეტში პროფესიული განათლების ხედვის და შეფასების სისტემაში არსებული ხარვეზები. მოგახსენებთ, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს აღნიშნული ხარვეზების გამოსასწორებლად და მომავალში ამ ტიპის პრობლემები აღარ იარსებებს.

მადლობას გიხდით ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის,

პატივისცემით,

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი:

შალვა ჭკადუა

30.07.2014